ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/15

2024 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.705) განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 131.05 კვ.მ. ფართის სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებისთვის) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 16 აპრილის №536 განკარგულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს ეთხოვათ სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს, გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებებს, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადასცენ ქონება 2026 წლის 01 იანვრამდე.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს შესაბამისი თანხმობა, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.705) განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 131.05 კვ.მ. ფართი, გადასცეს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებისთვის) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2026 წლის 01 იანვრამდე.

მუხლი 2.

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა და სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულმა სააგენტომ განსაზღვრონ ურთიერთშეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 3).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**